საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახალდაბა

ახალდაბა, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ვარიანის თემში (შიდა ქართლის რეგიონი), კვერნაქის ქედის ჩრდ. კალთის ძირას, მდ. ლიახვის მარჯვ. მხარეს. ზ. დ. 690 მ, გორიდან 9 კმ. რკინიგზის ბაქანი. 1,6 ათ. მცხ. (2014).

სოფელში, შემაღლებულ ადგილას, დგას X ს. დასაწყ. ერთნავიანი ეკლესია. ნაგებია ნატეხი ქვით. კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ელემენტები ნაწყობია ტუფის ქვით; კამარები და კონქი აგურითაა ამოყვანილი. საკურთხევლის ორივე მხარეს სამკვეთლო და სადიაკვნეა, მორთულობა სადაა.

სოფლის სამხრ-ით, ტყის პირას, განვითარებული შუა საუკ. წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია დგას. ნაგებია ქვიშაქვის მოზრდილი კვადრებით და რიყის ქვით. გამოყენებულია ღვინისფერი პორქირიტი და აგური. ეკლესია დაზიანებულია.